№ 99
მაისის 8, ხუთშაბათი 1903 წ.
1877

# ივერია

1903
№ 99
მაისის 8, ხუთშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ მაისიდან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია“
ჰღირს 7 მან. 25 კაპ.
გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

კნ. ელისაბედ ნიკოლოზის ასული ბაგრატიონ მუხრან ბატონისა აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მისის ძვირფასის მეუღლის თავადის კონსტანტინე ივანეს ძის

**ბაგრატიონ მუხრან-ბატონის**

დასაფლავება დანიშნულია დღეს, ხუთშაბათს, 8 მაისს, მცხეთის საკათალიკოსო ტაძარში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

(2—1)

## ქართული თეატრი

კვირას, **11** მაისს

ქართული თეატრის არტისტები **თავად ალექსანდრე სუმბათაშვილის (იუჟინის)** და

**მოსკოვის საიმპერატორო დასის არტისტების პატივსაცემლად**

გამართავენ

**სადღესასწაულო წარმოდგენას**

წარმოდგენილი იქნება:

I

მეოთხე მოქმედება სუმბათაშვილის კომედიიდან

**კაზაიანი**

II

მეორე მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდან

**ხანუმა**

III

**ქართული ხალხური სიმღერები და ლეკური**

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

ბილეთების ყიდვა შეიძლება ამ თავითვე, თეატრის კასაში, ყოველ დღე.

დასაწყისი 9 საათზე.

სალამოს გამგენი: ვ. აბაშიძე. / კ. მესხი.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

**სამკერვალოში**

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი

**ვ. ღამბაშიძე**

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით სალამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

**მ. გ. აგეტისიანცი.** 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

**სალამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

**ნ. ს. ლუზეცკი** 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საზებიო ავადმყოფობისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

**ს. ტ. არზანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-

(წლ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

**ახალშენიშვილი**

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო სალამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდის და სალამ. 5—7-მდის.

(წლ.)

**კერძო სამკურნალო**

**ექიმის მუსხელაშვილისა**

(გედევანიშვილისეული)

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**გ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**ნ. ტ. გულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

**გ. დ. ღამბაშიძე**—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.

**ზ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ა. მუსხელოვი:**—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. 11½—12½.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

**ზრ. გ. სოზოლევსკი**—ღოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიცკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

**ზ. მ. ამბარდანოვი**—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

**სალამოთი:**

**ა. ზ. მაღალაშვილი**—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

**მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.**

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

46—8 ტელეფონი № 617

## ტფილისი

✦ განსვენებულ თ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონს უანდერძნია ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისათვის თორმეტი დღის ნავთის მიწა ბაქოში.

✦ ქუთაისდგან გვატყობინებენ, რომ წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ სეირნობას 4-ს მაისს ცოტა ხალხი დასწრებიაო.

✦ რადგან თავად-აზნაურობა გუშინ თავად კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის გამოსვენებას დაესწრო, კრება მხოლოდ 2 საათზე დაიწყო; მაგრამ ბევრი წევრი აკლდა და ამის გამო მორიგ საქმეებს აღარ შეჰხებიან. მხოლოდ არჩეულ იქმანა დეპუტაცია, (გუბერნიისა და მაზრის წინამძღოლნი, გენ.-ადიუტ. თ-დი ზ. გ. ჭავჭავაძე, გენ.-ადიუტ. თ-დი ი. გ. ამილახორი, გენ.-ლეიტ. თ-დი დ. ა. სუმბათაშვილი, გენ.-მაიორი ი. ს. ჭავჭავაძე, ბ-ნი ი. დ. სულხანიშვილი—ყოფილი წინამძღოლი გორის მაზრის თავად-აზნაურთა და თ-დი რ. ქ. ვაჩნაძე), რომელიც უნდა წარუდგეს დიდს მთავარს ნიკოლოზ მიხეილის ძეს და მიულოცოს გენერალ-ადიუტანტის ხარისხის მიღება. გარდა ამისა, მისალოცი დეპეშა უნდა გაეგზავნოს დიდს მთავარს გიორგი მიხეილის ძეს, რომელსაც ებოძა მის უმაღლესობის ამალის გენერალ-მაიორობა.

დღეს კრება აღარ მოხდება, რადგან თავად-აზნაურობა თ-დ კ. ი. მუხრან-ბატონის დაკრძალვას უნდა დაესწროს მცხეთაში და ამიტომ შემდეგი მორიგი კრება ხვალისათვისაა დანიშნული, დილის 12 საათზე.

✦ დღეს, 8 მაისს, მცხეთის საპატრიარქო ტაძარში სწირვენ და შემდეგ ანდერძს აუგებენ განსვენებულს თ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონს ყოვლად-სამღვდელონი ალექსანდრე, ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსი და ლეონიდე, ეპისკოპოსი იმერეთისა.

✦ Вѣд. одесск. градонач."-ში დაბეჭდილია, რომ ქ. ოდესსის უნივერსიტეტის სტუდენტებს გრ. ლორთქიფანიძეს, აკ. და ალ. ქორქაშვილებს, ვ. წერეთელს, ა. დარაფელოვს, ა. ჩიკვაიძეს და ი. ექსაროვს, როგორც საჯარო ყრილობაში მონაწილეთ, ქალაქის უფროსის განკარგულებით თვითეულს 150 მან. ჯარიმა მიესაჯათ. თუ ჯარიმას გარდახდას ვერ შეიძლებენ, ერთი თვით იქნებიან დაპატიმრებული.

✦ 25 მაისს მოხდება გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობის საზოგადო კრება.

✦ ჩვენ მოგვივიდა რუსულად დაბეჭდილი წიგნი Тридцатилѣтіе спеціальныхъ классовъ Лазаревскаго института восточныхъ языковъ. წიგნი შეუდგენია ჩვენს თანამემამულეს დოცენტს ალ. ხახანაშვილს და დაუბეჭდია თავის საფასით ლაზარევის ინსტიტუტის საპატიო მზრუნველს თ. ს. ს. აბამელიქ-ლაზარევს. წიგნში პირველად დაბეჭდილია სიტყვა წარმოთქმული ინსტიტუტის დირექტორის მიერ 30 წლის იუბილეის გამო. გარდაცვალებულ დირექტორებისა და საპატიო მზრუნველთა სურათებ შორის წიგნში მოთავსებულია აგრეთვე სურათი ამ ინსტიტუტის დოცენტის ილია ოქრომჭედლიშვილისაც. დამატებაში მოკლე საბიოგრაფიო ცნობანია მოყვანილი ამ ინსტიტუტის დირექტორებისა, მზრუნველებისა და პროფესორებისა. მოყვანილია აგრეთვე სია, როგორც მათის, ისე დღევანდელ პროფესორებისა და დოცენტების სამეცნიერო თხზულებათა და ნაშრომთა.

✦ ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 13—24 მაისამდე. მოსამზადებელს კლასში-კი 20, 21, 22 და 23 მაისს.

✦ სოჭაში არსდება 1 თიბათვიდან საჰიდრო-ტერაპიო სამკურნალო. დიდძალს ავადმყოფებს მოელიან ამ ზაფხულს ამ სამკურნალოში.

✦ 14 მაისს დანიშნულია ქართული წარმოდგენა ვლ. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ. წარმოდგენა საუცხოვოდ იქნება მოწყობილი და მონაწილეობას მთელი დასი მიიღებს.

✦ 18 მაისს ბანკის ბაღში დანიშნულია ბაზარი და სეირნობა წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ გუშინ-წინ, 6 მაისს, ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს, ალექსანდრე ნევლის სამხედრო ტაძარში, საქართველოს ექსარხოსის მიერ გადახდილ იქმნა სადღესასწაულო წირვა და პარაკლისი. დაესწრნენ: კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზე, გენერლობა, სამოქალაქო მოხელენი, თავად-აზნაურთა გუბერნიისა და მაზრების წინამძღოლნი, ქალაქის წარმომადგენელნი და დიდძალი საზოგადოება, წირვა და პარაკლისი გადახდილ იქმნა აგრეთვე მართლ-მადიდებელთა დანარჩენ ეკკლესიებსა, სომეხ-გრიგორიანთა ვანქის ტაძარსა, კათოლიკეთა და ლიუტერანთა ეკკლესიებში, ტფილისის მეჩითსა და თორაში. დღისით ქალაქი მორთული იყო ბაირაღებით, ხოლო სალამოთი გაჩირაღდნებული.

✦ ბათუმში 4 მაისს რომის კათოლიკეთა ტირასპოლელმა ეპისკოპოსმა სამღვდელოების თანამსახურებით აკურთხა ზუბალაშვილის მიერ აგებული ეკკლესია. კურთხევას დიდძალი ხალხი დაესწრო. ამ დღესასწაულისთვის აუარებელი ხალხი მოსულიყო ქუთაისსა, ოზურგეთსა, ახალციხესა, ტფილისსა, ბაქოსა, გორსა, სოხუმსა, ფოთსა, ახალქალაქსა, ართვინსა, ართანუჯსა და სხვა ქალაქებიდან. კურთხევა დაიწყო 10 საათზე და დასრულდა ნაშუადღევის 2 საათზე. მათმა უსამღვდელოესობამ ეპისკოპოსმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც ქართულად გადაუთარგმნა დამსწრეთ სარატოვის კათოლიკეთა სემინარიის რექტორმა დონ იოვანე ანტონიშვილმა. წირვის დაწყებამდე სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე მამა იოვანე გვარამაძემ.

✦ უმაღლესს მთავრობას, როგორც „კავ."-ს ატყობინებენ, 40,000 მანეთი გადაუდვია ეკკლესიების ასაშენებლად ამიერ-კავკასიის იმ სოფლებში, სადაც რუსეთიდგან გადმოსახლებულნი სცხოვრობენ.

✦ მკითხველებმა უკვე იციან, რომ 2-დან 12 ივნისამდე მოხდება საქალაქო სასწავლებლების მასწავლებელთა კრება. სამოსწავლო ოლქის მზრუნველს შუამდგომლობა აღუძრავს ფინანსთა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ კრების წევრთ ნება მიეცეთ მოსვლა-წასვლის დროს კავკავისა და ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე შეღავათიანის პირობებით იმოგზაურონ, მაგრამ სამინისტროს არ შეუწყნარებია ეს თხოვნა. სადგომს ჩამოსულ წევრთათვის (150 კაცისათვის) ტფილისის საოსტატო ინსტიტუტში ამზადებენ. მსურველს 75 კაპ. დღეში იქვე დაეთმობა საჭმელი.

✦ მალე კავკასიაში ჩამოვა პროფ. მარრი. როგორც „ნოვ. ობოზ."-ს გუგია, პროფესორი მთელ ზაფხულს დარჩება აქ, უმთავრესად ერევნის გუბერნიაში, სიძველეთა გამოსაკვლევად.

✦ პარასკევს, 9 მაისს, ქალაქის მთავრის მეუღლის ა. ბ. ლორთქიფანიძის თაოსნობით, ქალაქის ბაღში გაიმართება სეირნობა ქუთაისის გიმნაზიის იმ ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ, რომელნიც წელს ათავებენ სწავლას. ქ-ნ ლორთქიფანიძის თაოსნობა თავმდებია იმისი, რომ სეირნობა კარგად ჩაივლის. იმედია, რომ ჩვენი საზოგადოება, ნამეტნავად სოფლებიდან ჩამოსული თავად-აზნაურობა, ბლომად დაესწრება სეირნობას და მით ნივთიერად დაეხმარება ჩვენს მოზარდ თაობას.

### გამოსვენება ბაგრატიონ მუხრან-ბატონისა.

გუშინ, 7 მაისს, დილის თორმეტის ნახევარზედ, მცირე ჩამოღოცვის შემდეგ, გამოასვენეს მისის სადგომიდგან გვამი განსვენებულის თ. კონსტანტინე ივანეს ძის ბაგრატიონ მუხრან-ბატონის და წაასვენეს მცხეთას დასაკრძალავად. გამოსვენებამდე მღვდელმა მ. ასათიანმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელსაც აქვე ვბეჭდავთ.

**ყოველთავე ჟამი, და ჟამი ყოვლისა ნივთისა ცათა ქვეშე** (ეკკ. გ. ა.)

დიაღ, ყოველსავე თავის დრო აქვს და იყო დრო, როდესაც შენ, უძვირფასესო თავადო კონსტანტინე, გატაცებული მიჯნურობის სიყვარულით, სიხარულით ისწრაფოდი ამ სახლისაკენ, *) სადაც გეგულებოდა უნეტარესა დანიშნული და, შემდეგ დაგვირგვინებისა, გადმოსახლდი აქ, ჯერეთ ახალ-გაზრდა. აქ ჰყვაოდი ჟამსა სიყმაწვილისასა; ამ სახლში დავაჟკაცდი და აქვე შესდგი ფეხი მხცოვანებაში; ამ ჭერ ქვეშ განატარე ორმოცდა ხუთ წლამდე. აქ განვლე უძვირფასესნი დღენი შენნი. აქ სიხარულით და განთქმულ ქართულ პურადობით უხვდებოდი სიამოვნებით შენთან მოსულთ რუსეთის გვირგვინოსანთა შვილებს. ამ სახლში იკრიფებოდნენ, განურჩევლად ეროვნებისა, შენნი პატივის მცემელნი მისაღებად შენგან ამა თუ იმ რჩევისა. აქ თითქმის ყოველ დღე შენთან ბჭობდნენ ჩვენის მამულის საუკეთესო შვილნი სხვა-და-სხვა საქმეებზედ ჩვენის მოქალაქობისა, სარწმუნოების და, უმეტესად, სწავლა-განათლებისა; ამ სახლში გაისმოდა შენი ხმა, აღვსილი სიმართლის მოყვარეობითა, პირუთვნელობითა და როდესაც-კი საუბარი შეეხებოდა შენ საყვარელ სამშობლოს და შენს წმიდა სარწმუნოებას, მაშინ შენ ხმაში ისმოდა უსაზღვრო სიყვარული თანა მოძმეთა და მამა პაპის სარწმუნოებისა მიმართ. ამ სახლში ბჭობდით საზნაურო სკოლის მომავალ ბედზედაც. ერთის სიტყვით, დღეიანდლამდის ამ სახლის კარი ღია იყო ყოველთვის და ყველასათვის

აქ ყველა სიხარულით მოისწრაფოდა. მაგრამ აწ დრონი იცვალნენ. ჟამი ტირილად, და ჟამი სიცილად, ჟამი გოდებად და ჟამი განცხრომად. (ეკკ. გ. დ.)

*) სახლი ეკუთვნის კნეინა ელისაბედს, განსვენებულის მეუღლეს.

ამ სახლში ხარ უკანასკნელად და აწ შორდები სამარადისოდ. შენი უძვირფასესი თანა-მეცხედრე ძაძით მოსილი დაქტირის თავსა, დღეს შენი მეგობარნი ზარ-დაცემულნი დავცქერით შენს გაციებულ გვამს. შენი უჩვეულებრივად დუმილი გვაკვირვებს და არ ვუწყით, რით განვარისხეთ. ნუ თუ, მართლა აღარა გვყვეხარ ჩვენი იმედი, ტკბილ მოსაუბრე, გაჭირვებულთ ნუგეში?! ქველი და დამხმარე მოსწავლე ახალგაზდაია ნუ თუ, აღარ იხილავ შენს საყვარელ, განურჩევლად წოდებისა, სააზნაურო სკოლის მოწაფეთ?! ნუ თუ აღარ უცდი სკოლის ახალ სახლის დამთავრებას?! ნუ თუ გაურბი მომავალ ქალთა სასწავლებლის გახსნასა?! მიდიხარ, აღარ ბრუნდები! ვიღა მოიყვანს სისრულეში შენს წმინდა განზრახვას ჩვენის ახალთაობის სწავლა-განათლების ტაძრის აგებისას?!

ვიმედოვნებთ, რომ შენს ყოველსავე კეთილ აზრს-განზრახვას განახორციელებს შენი უძვირფასესი მეუღლე და, რის შესრულებაც შენ ვერ მოასწარ შენს სიცოცხლეში, ჟამთა ვითარების გამო, იგი დაამთავრებს და გუნდრუკს შენს წმიდა-წმიდათა იგი დაუკმევს. ვსასოებთ, რო შენს შემდეგაც ქართველობას ამ სახლის კარი არ დაეხშობა და ქართველთ ურმათა, შენს მაგიერ, მამობასაც დედა გაუწევს.

მაშ მშვიდობით, უძვირფასესო! ილოცე მენის საყვარელის სამშობლოს ბედნიერებისათვის, შენ იქ და ჩვენ აქ არ დავსცხრებით ვედრებად წინაშე ღვთისა, რათა განუსვენოს შენს სულს წიაღთა შინა აბრაამ, ისაკ და იაკობისათა. ამინ.

—

**ტფილისის ქალაქის საბჭო.** კრება დაიწყო თუ არა, ქალაქის თავმა წაუკითხა კრებას ქალაქის მოურავის მოადგილის მ. შესტაკოვის თხოვნა. შესტაკოვი საბჭოს სთხოვდა: რადგან გადამეტებულ შრომისაგან დაღალვას ვგრძნობ, საბჭოს ვსთხოვ ქალაქის თავის მოადგილის თანამდებობისაგან განმათავისუფლოსო. ხმოსნებმა თითქმის ერთხმად განაცხადეს: შესტაკოვის ვადამდის—შემოდგომამდის განთავისუფლება და მის მაგიერ სხვის ამორჩევა ამ ჟამად მოუხერხებლად მიგვაჩნია, რადგან ცოტა ხანი კიდევ დარჩენია ვადის გასვლამდისო. უკეთუ ავადმყოფობა ხელს შეუშლის ქალაქის მოურავის მოადგილობის თანამდებობა შეასრულოს, როცა მოურავი სხვაგან იქნება, მაშინ შესტაკოვის მაგიერობას კანონისამებრ გამგეობის უფროსი წევრი გასწევსო და შესტაკოვი თავისუფალი იქნებაო. ამისათვის უარი უნდა ეთქვას თხოვნაზედო. საბჭომაც არ შეიწყნარა შესტაკოვის თხოვნა და იგი დასტოვა ისევ ქალაქის მოურავის მოადგილეთ შემოდგომამდის.

შემდეგ ამისა გამგეობამ წაუკითხა საბჭოს პეტერბურგის ქალაქის თავისაგან მოსული მიწვევის წერილი. პეტერბურგის ქალაქის თავი საბჭოსატყობინებს, რომ 16 მაისს პეტერბურგი დღესასწაულობს თავის ორასის წლის არსებობის იუბილეის და ქ. ტფილისს სთხოვს ამ დიად დღესასწაულობაში მონაწილეობა მიიღოს და თავის წარმომადგენლები გავაწვიოსო. უკეთუ ქალაქი ინებებს წარმომადგენლების გამოგზავნას, გვაცნობეთ, ვის ან რამდენს დეპუტატს გამოჰგზავნითო. ამ მიწვევის გამო გამგეობას დაედგინა: დეპუტატებად გაიგზავნოს ქალაქის თავი თ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი და ორი ხმოსანი, პეტერბურგის საბჭოს მიულოცონ დღესასწაული და ქალაქის მხრივ გამოუცხადონ თანაგრძნობაო. ამასთანავე პეტერბურგის ორასის წლის არსებობის აღსანიშნავად პეტერბურგის პოლიტეხნიკუმში პეტრე დიდის სახელობაზედ დაარსებული იქნას 480 მანეთიანი სტიპენდია, რომელიც მიეცეს იქ მოსწავლე სტუდენტს—ტფილისის მცხოვრებელს; ერთ-ერთ ქალაქის ქუჩას და ქალაქის სასწავლებელს ეწოდოს პეტრე დიდის სახელი; 16 მაისს პეტრე პირველის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი იქნას გადახდილი; გადიდოს 150 მანეთი, რომლითაც შეძენილ იქნას იმპერატორ პეტრეს და პეტერბუგის დაარსების შესახებ წიგნები და დაურიგდეს მოსწავლეებს.

საბჭომ ეს დადგენილება გამგეობისა მოიწონა; მხოლოდ სტიპენდიის შესახებ დაადგინა: ეს სტიპენდია ტფილისში იქნას გადმოტანილი, თუ აქ უმაღლესი სასწავლებელი დაარსდესო.

შემდეგ შეუდგნენ დეპუტატების დასახელებას. დიდი ბაასი გამოიწვია იმან, ქალაქმა თავის ხარჯით გაგზავნოს დეპუტატები თუ არაო. გზის ხარჯად ქალაქის თავისათვის 1200 მან. იყო დასახელებული, მხოლოდ დანარჩენ დეპუტატებისათვის 600 მანეთი თითოსთვის. ქალაქის თავმა ამ გზის ხარჯზედ უარი განაცხადა. საბჭომ გადასწყვიტა დეპუტატებს გზის ხარჯი არ მიეცეთ, რადგან ეს ქალაქისათვის საძნელო იქნებაო. დეპუტატებად ქალალდით დაასახელეს რამდენმამე ბ-ნი ვ. მიქელაძე და გ. თუმანიშვილი პირველი 31 ხმით იყო დასახელებული, მეორე 21. ორივემ დეპუტატობაზედ უარი განაცხადა, სამსახური ნებას არ გვაძლევსო, დეპუტატებად ამორჩეულ იქმნენ ე. ი. პსაროვი და ი. თ. ტიგრანოვი.

საბჭომ მოისმინა აგრეთვე პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტის მოწვევა, რომ ქალაქმა ინსტიტუტის ასის წლის არსებობის გამო დღესასწაულობაში მონაწილეობა მიიღოს. საბჭომ გადასწყვიტა ინსტიტუტს ტელეგრამით მივულოცოთ ასის წლის არსებობაო; დღესასწაული იქნება გარდახდილი 19 მაისს.

ამ დღესვე საბჭომ მოისმინა გუბერნატორის ცნობა იმის შესახებ, რომ ქ. დრეზდენში საყოველთაო გერმანელთა გამოფენა იმართებაო. ამ გამოფენას აზრად აქვს ხალხს გააცნოს, როგორ არის სხვა-და-სხვა ახალი ქალაქი კარგად მოწყობილი. გამოფენის გამგეობას სხვა-და-სხვა სახელმწიფოსათვის შეუტყობინებია, თქვენს ქალაქებს აცნობეთ, რომ გამოფენაზედ ნიმუშები იქნებიან იმისი, თუ როგორ არის მოწყობილი ახალი ქალაქები და სთხოვს წარმომადგენლები გამოჰგზავნონ ქალაქებმა გამოფენაზედაო. ამ ჟამად ჩვენს ქალაქს სურს ზევრი რამის გაკეთება: ელექტრონით ქალაქის განათება, საუკეთესო საყასბოების გამართვა, ქუჩების მოკირწყვლა და სხვ. ამისათვის საბჭომ ეს გამოფენა საგულისხმიეროდ სასარგებლოდ სცნა და საჭიროდ დასახა ვისმე გაგზავნა. ამისათვის საბჭომ დაადგინა, ამ საგნის განხილვა გამგეობას მიენდოს და რაც იმან დაასკვნას, საბჭოს მოხსენდეს მომავალ კრებაზედაო.

ბოლოს საბჭომ განიხილა გამგეობის შეერთებულ საკრებულოს და ორის კომისიის დადგენილება ხორცის ნიხრის შესახებ. გამგეობას დაუდგენია: პირველ ხარისხის ხორცის ნიხრი—16 კაპ. გირვანქა, მეორისა—12 კ., მესამისა—9 კ.

ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია და დიდხანს გასტანა ამ საგანზედ ლაპარაკმა, მაგრამ ამ საღამოზედ-კი ვერ გადასწყდა. ბოლოს საბჭომ ნიხრი შეუცვლელად დასტოვა ისევ და კომისია, რომელსაც ხორცის დუქნების რევიზია აქვს მინდობილი, ვალდებული გახადა, ორის კვირის განმავლობაში წარმოუდგინოს ანგარიში დუქნებისა. გამოირკვა, რომ ქალაქს ფუთი ხორცი უჯდება ოთხ მანეთამდის, თვითონ-კი ჰყიდის სამ მანეთად, ასე რომ დღეში ზარალობს 300—400 მანეთს. ქალაქის ყასაბნი ნიხრს არ უყურებენ და ხარისხის განურჩევლად ხორცს სულ ერთ ფასად ჰყიდიან, რის გამოც ქალაქის ხორცის სავაჭრო დუქნებს, რომლებსაც ხორცი ხარისხებად აქვს დაყოფილი, დიდს კონკურენციას უწევენ და დიდს ფულსაც იგებენ.

კრება გათავდა 12 საათზედ.

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მორიგი კრება.

5 მაისს (მესამე სხდომა)

კრება დაიწყო $11^1/_2$ საათზე.

თავმჯდომარემ თავ. დ. ზ. მელიქოვმა განაცხადა,—განსაკუთრებულმა კომისიამ უკვე წარმოადგინა თავისი მოხსენება უმაღლესად ნაბოძებ 20,000 მანეთის შესახებ და, ვგონებ, ყველამ უწყის მისი შინაარსი; გნებავთ კიდევ წავიკითხოთ ეს მოხსენება, თუ პირდაპირ მსჯელობას შევუდგეთო. მრავალი სხვა-და-სხვა აზრი გამოითქვა ამ თანხის დანიშნულების შესახებ, მაგრამ მათ შორის ყველაზედ მეტი მომხრე სამს აღმოუჩნდა: 1) ამ ფულის სტიპენდიებად დანაწილებას, 2) საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსებას და 3) გორსა და თელავში გიმნაზიების დაარსებასა.

თავ. ზ. გ. ჭავჭავაძე. ბევრი ბჭობა-თათბირი გვქონდა ამ საგანზე და საკმაოდაც გამოვარკვიეთ, მაგრამ ვერ შევთანხმდით, ერთს გზას ვერ დავადექით; ამისათვის საუმჯობესოდ მიმაჩნია ისევ კენჭით გადავწყვიტოთ ეს საცილობელი საკითხი, თორემ ტყუილად მოვსცდებით და ყოველი სჯა-კამათი ამაოდ ჩაგვივლისო.

თავ. გ. ი. თარხან-მოურავიშვილმა ვრცლად განმარტა და მრავალი საბუთიც მოიყვანა იმ აზრის დასამტკიცებლად, თუ რა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩვენის ქვეყნისათვის საშუალო სამეურნეო სასწავლებელი და განაცხადა,—თუ უმაღლესად ნაბოძებ 20,000 მანეთს იმ ყოველ წლიურ მოგების ნაწილსაც მივუმატებთ, რომელიც ბანკიდგანა და სათავად-აზნაურო მამულებიდგანა გვრჩება, ადვილად დავაარსებთ ამ ყოვლად სასარგებლო სკოლასაო.

თავმჯდომარემ მოახსენა კრებას,—თავ. კ. მ. ამირაჯიბის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიის გამოანგარიშებით, საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დასაარსებლად 60,000 მანეთია საჭირო და ჩვენს განკარგულებაში-კი მხოლოდ 20,000 მან. არისო; ასე რომ 40,000 მანეთი კიდევ სხვა უნდა მივუმატოთ, რომ ამგვარი სასწავლებელი დავიარსოთო.

თავ. გ. ი. თარხან-მოურავიშვილი. ნებას ვაძლევ ჩემს თავს უარ-ვყო იმ ცნობათა სინამდვილე, რომელიც ზემოხსენებულ კომისიის ხელთ ყოფილა. გუშინ მიწად-მოქმედების დეპარტამენტის უკანასკნელ უტყუარ ცნობებიდგან შევიტყე, რომ ერთ საშუალო სამეურნეო სასწავლებელზედ მხოლოდ 18,000 მანეთი იხარჯება.

რაღა მაინცა და მაინც ჩვენ უნდა გავაზვიადოთ და გადავაჭარბოთ ყველას. იმ კომისიამ, სხვათა შორის, თითო პროგიმნაზიის დასაარსებლად 28,000 მანეთი იანგარიშა, მაგრამ, როგორც ოლქის მზრუნველმა გვაცნობა, ათას-ათასიც საკმაოაო.

თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილმა (გორის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა) წაიკითხა ის ცნობები, რომლითაც უხელმძღვანია კომისიას და აღმოჩნდა, რომ რუსეთის 12 საშუალო სამეურნეო სასწავლებლიაგან თითოზე ორთა-შუა რიცხვით 45,000 მანეთი იხარჯება; ზოგზედ 65,000-მდეც; ხოლო ერთზე—18,000 მანეთი, მაგრამ აქ რაღაც გაუგებრობა (недоразумѣніе) უნდა იყოსო.

თავმჯდომარე. როგორც მოგხსენდათ, კომისიის გამოანგარიშება ახლო ყოფილა სინამდვილესთან; მაშასადამე, ან ჩვენვე უნდა გამოვიღოთ დამატებითი თანხა საშუალო სკოლის დასაარსებლად, ან მხოლოდ დაბალ სამეურნეო სკოლაზედ ვილაპარაკოთ.

თავ. გ. ი. თარხან-მოურავიშვილი. წინააღმდეგი გახლავართ დაბალ სამეურნეო სასწავლებლის დაარსებისა ჯერ იმიტომ, რომ რამდენიმე ასეთი სასწავლებელი უკვე გვაქვს, და მეორეც, თუ დაბალ სასწავლებელში კურს დამთავრებულმა საშუალოში არ განაგრძო სწავლა, ბევრს ვერას შესძენს ჩვენს მეურნეობას თავის მცირე ცოდნითაო. თუ მოვინდომებთ და რაღაც უმნიშვნელო მიზეზებს არ დავიხვევთ ხელზე, თამამად შეგვიძლიან 50,000 მანეთამდე შევასრულოთ უმაღლესად ნაბოძები ოცი-ათასი მან. და დავიარსოთ ჩინებული საშუალო სამეურნეო სასწავლებელი, რომელიც გაცილებით უფრო სასარგებლო იქნება ჩვენთვის, ვიდრე გიმნაზიების დაარსება, რადგან ჩვენ უფრო მეურნე ხალხი ვართ და სამეურნეო სწავლა-განათლება გვესაჭიროება; გარდა ამისა, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთაც საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსება ჰქონდათ განზრახული; მოვილაპარაკოთ, იქნებ შევთანხმდეთ და შევვერთდეთ; მაშინ ხომ სულ გაგვიადვილდება საქმე.

თავ. დ. ქ. ჩოლოყაშვილმა (თელავის თავად-აზნაურთა წინამძღოლი) ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და განმარტა, რომ სამ აზრთა შორის—სტიპენდიების, სამეურნეო სკოლისა, თუ გიმნაზიების დაარსება—ყველაზედ უფრო საყურადღებო უკანასკნელიაო. რაიცა შეეხება სტიპენდიებსაო,—სთქვა ორატორმა,—მოგახსენებთ, რომ 19-მდე ეხლაცა გვყავს სტიპენდიანტი თავად-აზნაურთა ხარჯითაო. სამეურნეო სკოლების დაარსება ჩვენს ქვეყანაში თვით მთავრობასა აქვს განზრახული, რადგან ამ უკანასკნელ ხანებში დიდი ყურადღებაა მიქცეული სამეურნეო სწავლა-განათლების გასავრცელებლად მთელს იმპერიაშიო. ასე რომ, მესამე აზრი—გიმნაზიების დაარსება გორსა და თელავში—ყველაზედ უფრო ხელსაყრელია ჩვენთვისაო. ამას გარდა, გიმნაზიაში საზოგადო განვითარებას იღებს ბავშვი და თუ სხვა რაიმე სპეციალურ ცოდნისადმი ექნება მიდრეკილება, ადვილად შეუძლია გადავიდეს იმ სასწავლებელში, რომელსაც აირჩევს. ჩვენ მიერ განზრახულ გიმნაზიებში $^1/_3$ მოსწავლეთა თავად-აზნაურთა შვილები იქმნებიან, ხოლო $^2/_3$ სხვა-და-სხვა მოქალაქეთა და სოფლელთაო. გარდა ამისა, თ-დ გ. ი. თარხნიშვილის აზრს რომ მივემხროთ და ის დამატებითი თანხა, რომელიც საჭიროა საშუალო სამეურნეო სკოლის დასაარსებლად ჩვენვე გამოვიღოთ, მაშინ, უსახსრობის გამო, დაუკმაყოფილებელი დაგვრჩება ყოველი სხვა საჭიროებანი, რომელთა რიცხვი ბლომადააო.

თ-დი გ. ი. თარხან-მოურავიშვილი. თქვენ გავიწყდებათ მხოლოდ, რომ თქვენის გიმნაზიებით უმეტეს ნაწილად ქალაქელები ისარგებლებენ, რომელთაც უთქვენოდაც შეუძლიანთ თავიანთ შვილების აღზრდა და, გარდა ამისა, სწავლის ფულიც უნდა იხადონ მოწაფეებმა; სამეურნეო სასწავლებელში უფრო სოფლელნი მიაბარებენ შვილებსა და სრულიად უზრუნველ-ყოფილნიც იქმნებიან.

თ-დი გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი. მთელს იმპერიაში ისეთი სასწავლებელი არ არსებობს, სადაც მოსწავლენი ფულს არ იხდიდნენ.

თ-დი გ. ი. თარხან-მოურავიშვილი. იმ 45,000 მანეთში, რომელიც ნაანგარიშებია საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დასაარსებლად, სწავლის ფულიც მოქცეულია. აი, ამას მიაქციეთ ყურადღება!

თ-დმა მ. მაჩაბელმა ვრცლად განმარტა, თუ რამდენად გაუადვილდება ხელ-მოკლე ქართველობას შვილის გამოზრდა თელავისა და გორის გიმნაზიაში, რადგან ეს ორი მხარე დღეს, მრავალ დამაბრკოლებელ მიზეზთა გამო, მეტად დაქვეითებულია სწავლა-განათლების მხრივ. საშუალო სამეურნეო სასწავლებლის შესახებ ის აზრი გამოსთქვა, რომ ამ სასწავლებელში შესასვლელად რამდენისამე წლის მზადებაა საჭირო ბავშვისთვისა და უბედურებაც ისაა, რომ ამ პირველ დაწყებით ცოდნის მიცემა ვერ მოგვიხერხებია ხელ-მოკლეობის გამო ჩვენის შვილებისათვისაო. ამ გვარად, კიდევაც რომ დავაარსოთ საშუალო სამეურნეო სკოლა, იმდენი მომზადებული ბავშვი არ გვეყოლება, რომ ავავსოთ იგიო.

თ-დმა ალ. ჩოლოყაშვილმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და კრების ყურადღება იმ გარემოებას მიაქცია, რომ თუ საშუალო სამეურნეო სკოლის დაარსება ვირჩიეთ, უეჭველად იმ სახის სკოლა უნდა იქნეს, როგორიც იმპერიაში არსებობს; სხვანაირის დაარსების ნებას ჩვენ არ მოგვცემენო; ხოლო ამ სკოლებში შესასვლელად საჭიროა, რომ მოწაფე არა ნაკლებ 14 წლისა იყოს და ორი კლასის ცოდნა მაინც ჰქონდესო. რა ვქნათ, სად და როგორ მოვამზადოთ ჩვენი შვილები ასეთ სკოლაში მისაბარებლად? ჩემის აზრით, ჩვენს მდგომარეობაში ყველაზედ უმჯობესია გორსა და თელავში გიმნაზიების დაარსება, სამის მოსამზადებელ განყოფილებითა და 4 კლასით, სადაც 1,200-მდე ბავშვს შეუძლიან მოემზადოს და საშუალო განათლება მიიღოს. მადლობა ღმერთს, რუსეთის იმპერიაში მრავლადაა სპეციალური სასწავლებელთა რიცხვი და, თუ ვისმე სპეციალურ ცოდნის მიღება სწადიან, იქ მიაბაროსო. ვიმეორებ, რომ უნდა ვისარგებლოთ ამ მარჯვე შემთხვევით, როცა თვით მთავრობა გვაწვდის ხელსა, და გიმნაზიები დავიარსოთო.

თ-დი ვ. მაჩაბელი (ქართულად დაიწყო სიტყვა)...

რაიცა შეეხება საშუალო სამეურნეო სასწავლებელს, საუცხოვო აზრია, მაგრამ მის დასაარსებლად ძალა არ შეგვწევს და თუ მთელი ჩვენი ავლა-დიდება მას მოვახმარეთ, ყოველი სხვა საჭიროება დაუკმაყოფილებელი დაგვრჩება. ამიტომ იმ აზრისა გახლავართ, რომ ისევ სტიპენდიებად დავანაწილოთ უმაღლესად ნაბოძები 20,000 მან. და ხელი შევუწყოთ მთელის გუბერნიის უგაჭირვებულეს მოსწავლე ახალგაზრდობას...

თ-დი გ. ი. თარხან-მოურავიშვილმა აღნიშნა, რომ სამწუხაროდ ბევრი ქართველი ახალგაზრდა სხვა-და-სხვა მიზეზის გამო მეორ-მესამე კლასსაც ძლივს აღწევს ეხლანდელს გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში, ანებებს სწავლას თავსა და უბრუნდება თავის გაღატაკებულ ოჯახს სრულიად უვარგისი და ცხოვრებისათვის მოუმზადებელი, პაპიროსის წევის მეტი სხვა შნო არა აქვთ-რა. დარწმუნებული ვარ, საშუალო სამეურნეო სკოლა რომ გვქონდეს, ეს მუქთა-ხორა ახალგაზრდობა ასე აღარ გამრავლდებოდა, რადგან ბევრი მათგანი მოისურვებდა ამ სკოლაში შესვლასა და სწავლის განგრძობას.

თ-დი რ. ვაჩნაძე (გაკვირვებით და, ცოტა არ იყოს, წყენითაც) ბატონებო! აქ ზოგიერთნი გვირჩევენ, მაინცა და მაინც სამეურნეო სკოლა დავიარსოთო. ჩვენ, კეთილშობილთ, ჩაგვცივებიან,—ბარი და წერაქვი აიღეთ ხელში და იმუშავეთო! ერთი მიბრძანეთ, გონებრივი განვითარება სჯობია ჩვენთვის, თუ ფიზიკური? სამეურნეო სასწავლებელში არ აღვზრდილვართ, მაგრამ წვენილიც კარგი მოგვყავს და ვენახსაც მშვენივრად ვუვლით. ჩვენ გონების განვითარება გვესაჭიროება და ამისათვის გიმნაზიები უნდა დავიარსოთ და არა სამეურნეო სკოლები; გვეუბნებიან, გონება დაიხშეთ და თოხი აიღეთ ხელშიო. სრულიად უარვყოფ სამეურნეო სკოლის დაარსებას და სავსებით ვუერთდები იმ აზრს, რომ გორსა და თელავში გიმნაზიები დავაარსოთ.

ბ-ნმა გ. დ. გაბაშვილმა აღნიშნა, რომ ყოველგვარი სასწავლებელი საჭიროა ჩვენთვის და, რაც მეტი იქნება, ისა სჯობიანო, მაგრამ უმაღლესად ნაბოძებ ფულს ისეთი მიმართულება უნდა მივსცეთ, რომ ჩვენვე დავრჩეთ მის პატრონად და ისე მოვიხმაროთ, როგორც საუმჯობესოდ ვცნობთო. ამისათვის სტიპენდიებად დანაწილება ამ ფულისა ყველაზედ უფრო რიგიანი საქმე იქნება; ხოლო ჩვენს შორისვე უნდა ავირჩიოთ ის ორგანო, რომელიც განაგებდეს სტიპენდიებსაო.

ბ-ნმა გ. რცხილაძემ ის აზრი გამოსთქვა, რომ თელავისა და გორის გიმნაზიებში 300—400-მდე თუ იქნება ქართველ მოწაფეთა რიცხვი. მათ შორის, სულ ბევრი $^1/_3$ დაასრულოს სწავლა და სხვანი-კი კურსის დამთავრებამდე მიატოვებენ სკოლასაო და უსაქმურად დაიწყებენ ხეტიალს, რადგან არავითარი პრაქტიკული ცოდნა არ ექნებათ. სამეურნეო სკოლაში მოსწავლეთა მეტი რიცხვიც გვეყოლება და იგინიც-კი რომელნიც სწავლას ვერ დაასრულებენ სხვა და სხვა მიზეზთა გამო, ჩინებულად შესძლებენ შრომას, რადგან ცოტაოდენი პრაქტიკული ცოდნა მაინც ექნებათ.

ბ-ნი ნ. ისარლიშვილი. ყველას მოგეხსენებათ, რომ ჩვენი თავადაზნაურობა უმეტეს ნაწილად მიწად-მფლობელი ხალხია, მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, ამ უკანასკნელ ხანებში საოცარის სისწრაფით გვეცლება ხელიდგან ეს მამული. ერთი უმთავრეს მიზეზთაგანი ამ სამწუხარო მოვლენისა ის გახლავთ, რომ საჭირო სამეურნეო ცოდნა არა გვაქვს, რომ უკეთ შევიმუშაოდ, გავაუმჯობესოდ მამული, რომელსაც დღეს ძველებურად, მამა-პაპურად ვუვლით და ამის გამო მისი მცირე შემოსავალი ვეღარ აკმაყოფილებს ჩვენს მრავალფეროვან მოთხოვნილებას. ვიმეორებ, რომ მხოლოდ სამეურნეო სწავლა-განათლებას შეუძლია გამობრუნება ჩვენ მემამულეთა, რომელნიც ჰკარგავენ მამა-პაპეულ მიწა-წყალსა და მასთანვე ცხოვრების ერთად-ერთ სალსარსა.

შემდეგ ამისა, კიდევ კარგა ხანს გასტანა კამათმა, მაგრამ ახალი არა უთქვამთ-რა; ამის გამო ზოგიერთმა მიჰმართა თავმჯდომარეს,—სადაო საგანი სრულიად გამოირკვა, ლაპარაკსკი ბოლო არ უჩანს; როგორც ეტყობათ, მოპირდაპირეთა შეთანხმა შეუძლებელია და ისა სჯობიან, ისევ კენჭის ყრით გადავსწყვიტოთ საქმეო. თავმჯდომარეც დასთანხმდა. თუმცა თ-დმა ს. ვახვახიშვილმა განაცხადა,—სამსავე წინადადებას ერთად ნუ ვუყრით კენჭსა, თორემ შეიძლება ვერც ერთი ვერ გავიდესო, მაინც სამი ყუთი დასდგეს. სტიპენდიებს ამოუვიდა 23 თ. (82 შ.); სამეურნეო სკოლას 46 თ. (59 შ.) და გიმნაზიებს—49 თ. (56 შ.); ასე რომ სამივე წინადადება უარ-ყოფილ იქმნა; მაგრამ მეორედ უყარეს კენჭი სამეურნეო სასწავლებელსა და გიმნაზიებს; პირველს ამოუვიდა 51 თ. (46 შ.); ხოლო მეორეს—49 თ. (48 შ.); ამგვარად ორის ხმის უმეტესობით გადასწყდა საშუალო სამეურნეო სკოლის დაარსება.

თავმჯდომარემ მიმართა კრებას,—რადგან კრებამ სამეურნეო სასწავლებლის დაარსება ისურვა, ხოლო უმაღლესად ნაბოძებ თანხით შეუძლებელია ამ აზრის განხორციელება, მიბძანეთ, როგორ ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშეო.

მრავალი სხვა-და-სხვა აზრი გამოითქვა ამის შესახებ. ზოგნი ამტკიცებდნენ,—როცა სამეურნეო სასწავლებელს ირჩევდით, ის გარემოებაც უნდა მიგეღოთ სახეში, რომ, რაც უმაღლესად ნაბოძებ თანხას დააკლდებოდა, თქვენვე უნდა გეტვირთნათ მისი გამოღებაო. ზოგმა სთქვა,—მთავრობას მივმართოთ და შემწეობა ვთხოვოთო; ზოგმა კიდევ, ქუთაისის თავად-აზნაურობას შევეკითხოთ, იქნებ შემოგვიერთდნენ და მაშინ სულ გაგვიადვილდება საქმეო. დასასრულ არჩეულ იქმნა კომისია (თ-დი ი. გ. ჭავჭავაძე, თ-დი გ. ი. თარხან-მოურავიშვილი, თ-დი ლ. გ. ჯანდიერი, ბ-ნი ვ. თულაშვილი და ბ-ნი ი. გ. თულაშვილი), რომელსაც დაევალა კრების დასრულებამდე ყოველივე ღონის ძიება იხმაროს, იმ საშუალების აღმოსაჩენად, რომლითაც უნდა შესრულებულ იქმნეს საჭირო თანხა საშუალო სამეურნეო სკოლის დასაარსებლად.

კრება $4^1/_2$ საათზე დასრულდა.

## სოხუმის ქალაქის არჩევნები.

29 აპრილს მოხდა არჩევნები ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებლის კორჩიცის თავმჯდომარეობით.

არჩევნებზედ გამოცხადდა სულ 164 ამომრჩეველი. მათ შორის იყო ქართველი ასი, რუსი 48, ბერძენი 13, კარაიმი 2 და სომეხი ერთი.

არჩევნების დროს იყო საკვირველი წესიერება, რომელიც ჭეშმარიტად ღირსია წაბაძვისა. აქ ვერ გაიგონებდით ვერც ხალხის წამქეზებელს სიტყვებს, ვერც საექვო ჩურჩულსა, ან აყალ-მაყალს... ყველას შეგნებულება გამოიხატებოდა, ყველა მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა ყუთებთან და მოქმედებდა ისე, როგორც ეუბნებოდა მისი სვინიდისი. თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ არჩევნებმა თითქმის მათემატიკურის სინამდვილით გამოსახეს სხვა და სხვა ეროვნების არჩეულ ხმოსანთა რიცხვისა ამომრჩეველთა რაოდენობის ურთიერთობა. მაგალითად: ასს ქართველში არჩეულ იქმნა ხმოსნად ოცი და სამი, 48 რუსში 12, 13 ბერძენში 2 და 2 კარაიმ 1.

აი სია ამორჩეულ ხმოსანთა.

ქართველნი:

| | თეთრ. | შავი. |
|---|---|---|
| გაბუნია თეიმურაზ (ვაჭარი) | 131 | 32 |
| გოგრიჭიძე ვასილ (ვაჭარი) | 123 | 40 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| წეროძე ყარფეზ (ვაჭარი) | 113 | 50 |
| ცეცხლაძე ივანე (ვაჭარი) | 108 | 53 |
| გვალია გიორგი (ვაჭარი) | 120 | 43 |
| კეთილაძე პავლე (მემამულე) | 97 | 66 |
| თურქია გახუ (ვაჭარი) | 112 | 51 |
| გოგიჯანაშვილი ნესტორ (წიგნის მაღაზიის პატრონი) | 115 | 48 |
| ლილუა იოსებ (მემამულე) | 107 | 56 |
| ჩიქოვანი ნიკოლოოზ (მემამულე) | 121 | 42 |
| შერვაშიძე ივანე (თავადი) | 111 | 52 |
| თურქია სტეფანე (ვაჭარი) | 85 | 78 |
| თოფურიძე ლუკა (მემამულე) | 92 | 71 |
| მუქულია ანტონ (ვაჭარი) | 90 | 73 |
| ქირთაძე მელიტონ (ვაჭარი) | 101 | 62 |
| გუგუშვილი პავლე (მემამულე) | 101 | 62 |
| გვაზავა იაკობ (მემამულე) | 93 | 70 |
| თოფურიძე შანშე (მემამულე) | 90 | 73 |
| შერვაშიძე ალექსანდრე (თავადი) | 106 | 57 |
| ანუა ტიმოთე (ვაჭარი) | 98 | 57*) |
| ბარკალაია გიორგი (მემამულე | 93 | 62 |
| კიწმარიშვილი იოსებ (დროგისტი) | 88 | 67 |
| ჩერქეზია (მომრ. სასამ. მდივანი) | 84 | 71 |
| რ უ ს ნ ი: | | |
| | თეთრ. | შავი. |
| ოსტროუმოვი ნიკ.ვას.ძე (პროფ.) | 145 | 19 |
| კუტლიაროვი ვასილი (შტაბს-კ.) | 123 | 45 |
| დალი ალექსანდრე(სამს.გად.ოფ.) | 102 | 61 |
| ჟუდრა ლეონიდე (ინჟინერი) | 97 | 66 |
| მარკოვი ევგენი (ხარჯთ-აღრ.ინსპ.) | 115 | 48 |
| იაკოვჩუკი სიმონ (კოლ. სოვ.) | 114 | 49 |
| ალაფუზოვი (გამგე მაქსიმოვის ტყის ქარხანისა) | 107 | 56 |
| კნიშენკო (ბუჰგალტერი) | 91 | 72 |
| ზახაროვი (ნაფიცი ვექილი) | 98 | 65 |
| კისნერი გენრიხ (აგენტი რუსეთის სანავოსნო საზოგადოებისა) | 99 | 64 |
| მარეცკი (ექიმი) | 101 | 62 |
| როდიჩევი (მეტყევე) | 98 | 65 |
| ბერძენნი: | | |
| მეტაქსა ნიკოლოოზ (მემამულე) | 95 | 68 |
| მეტაქსა დიმიტრი (მემამულე) | 84 | 71 |
| კარაიმი: | | |
| ბაბაჯან იოსები (მეთუთუნე) | 84 | 79 |
| კანდიდატი: | | |
| რომევიჩი (მომრიგ. შუამავალი) | 83 | 80 |

სია იმათი, რომელთაც ყუთი დაიდგეს და გაშავდნენ:

| | თეთრ. | შავი. |
|---|---|---|
| ფროლენკო (სამსახურიდგან გადამდგარი ოფიცერი) | 78 | 85 |
| ზოგრაფოპულო (ვაჭარი) | 65 | 97 |
| ტომარა (საურთიერთო კრედიტის საზოგადოების თავმჯდომარე) | 79 | 83 |
| იამანდოპულო (მემამულე) | 59 | 103 |
| ტეკმიჩოვი (ვაჭარი) | 46 | 117 |
| გაპუნია ბახვა (ვაჭარი) | 72 | 91 |
| სირგანიდი (მეთუთუნე) | 72 | 91 |
| თურქია საჩინო (ვაჭარი) | 76 | 87 |
| მავროპულო (მემამულე) | 62 | 101 |
| უსტაბაშიდი (ვაჭარი) | 48 | 115 |
| ივანინი (სახლის პატრონი) | 57 | 106 |
| მუხანოვი (ექიმი) | 79 | 84 |
| დიმიტრიევი (ექიმი) | 55 | 100 |
| ფილიმონოვი (ექიმი) | 43 | 112 |
| კაზმინი (ექიმი) | 43 | 112 |
| მერკუმოვი (ექიმი) | 59 | 96 |
| კაფიადი (მეთუთუნე) | 63 | 100 |
| თურქია ბეგლარ (ვაჭარი) | 71 | 92 |
| რიბინსკი გერასიმე (აგენტი რუსეთის სადეპეშო საზოგადოებისა | 71 | 92 |
| მალანია ლევან (მემამულე) | 60 | 103 |
| ჩერნიავსკი ვლადიმირ (წევრი სხვა-და-სხვა სამეცნიერო საზოგად.) | 38 | 117 |
| ვიალკოვსკი (ხელოვნურ მინერალური წყლების ქარხანის პატ. | 54 | 101 |
| ვოინკოვი (საქციზო უწყების მოხელე) | 74 | 81 |
| აბრამოვიჩი (ფერშალი) | 62 | 93 |
| კამენსკი (მეაბანოვე) | 40 | 115 |
| მარღანაძე (მემამულე) | 75 | 80 |
| ლევიტსკი (მომრიგებელ მოსამართლეც ყოფილი) | 52 | 103 |
| ტროიცკი (საეპარქიო კანცელარიის მდივანი) | 64 | 91 |
| გვაზავა გრიგოლ (ტყის მწარმოებელი) | 74 | 81 |
| გოთოშია (საარაყო ქარხნის პატრონი) | 71 | 84 |
| თურქია გიორგი (მემამულე) | 64 | 91 |
| დავიდოვი (ვაჭარი) | 74 | 81 |
| გერმან ვასილი (მემამულე) | 51 | 104 |
| ცხომარია (ვაჭარი) | 74 | 81 |
| სიდოროვი (მთიულთა სკ. ინსპ.) | 51 | 112 |
| პეტრენკო (სახლის პატრონი) | 37 | 118 |
| ტკაჩენკო (ვაჭარი) | 30 | 125 |

ასარჩევი დარჩა კიდევ შვიდი კანდიდატი, რისთვისაც დამატებითი არჩევნებია დანიშნული რვა მაისისთვის.

კოლო

*) საღამოს არჩევნებზედ გამოცხადდა 155 კაცი.

## პ რ ო ე ქ ტ ი

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის სასოფლო-სამეურნეო თანხის დებულებისა.

(დასასრული *)

### მართვა-გამგეობა.

21. მართვა-გამგეობა სათავად-აზნაურო სასოფლო-სამეურნეო თანხის და მის ყურისგდება ევალება:

ა) სამაზრო კომიტეტებს;

ბ) საბჭოს;

გ) თავად-აზნაურობის წინამძღოლთა და

დ) თავად-აზნაურობის საგუბერნიო კრებას.

### სამაზრო კომიტეტები.

22. სამაზრო კომიტეტები არსდება ტფილისის გუბერნიის მაზრებში იმ რიგით, რა რიგსაც საჭიროდ დაინახავს საბჭო; ამასთანავე რამდენისამე მაზრისათვის შესაძლოა ერთი კომიტეტი დაარსდეს და შესდგებოდეს თავმჯდომარისა და ორის წევრისაგან ორის კანდიდატითურთ, რომელთაც არჩევს საბჭო სამი წლის ვადით.

23. თუ საბჭო საჭიროდ დაინახავს, მოვალეობა კომიტეტის ბუხგალტერისა და საქმეთ-მწარმოებლისა შესაძლოა დაევალოს კომიტეტის წევრთ.

24. მოხელეთა შტატს კომიტეტის საქმეთათვის და რაოდენობას მათის ჯამაგირისასა აწესებს საბჭო.

25. თავმჯდომარე და წევრნი კომიტეტისა იღებენ თავიანთ შრომისათვის განსაზღვრულს ჯამაგირს ანუ სასყიდელს თითოეულ კრებაზედ დასწრებისათვის; რაოდენობა ჯამაგირისა და სასყიდლისა სხვა-და-სხვა სამაზრო კომიტეტში შესაძლოა სხვა და სხვა მეტ-ნაკლებობისა იყოს.

26. კომიტეტის საქმეა:

ა) წარმოება ოპერაციებისა თავად-აზნაურთათვის სესხის გასაცემად მაზრაში იმ ზედმიწევნილის სიმტკიცით, როგორსაც მოითხოვს ეს დებულება, ინსტრუქციები საბჭოსი და გადაწყვეტილებანი საგუბერნიო სათავად-აზნაურო კრებათა;

ბ) წარმოება ანგარიშთა, დავთართა და მიწერ-მოწერისა იმ სახით, როგორც დაწესებული იქნება საბჭოს მიერ;

გ) გაწესება და დათხოვნა კომიტეტის მოხელეთა;

დ) ყოველ თვე წარდგენა ოპერაციების ანგარიშებისა საბჭოსათვის;

27. კომიტეტის კრება კანონიერი იქნება, თუ დაესწრება ჳ წევრი კომიტეტისა.

28. კომიტეტში საქმეები გადაწყდება უბრალო ხმის უმეტესობით.

29, საჩივარი კომიტეტზედ უნდა წარუდგინოს საბჭოს, მაზრის წინამძღოლის შუამავლობით.

### ს ა ბ ჭ ო.

30. საბჭო შესდგება, გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თავმჯდომარეობით, თავად-აზნაურთა ყველა მაზრის წინამძღოლთა, თავად-აზნაურობის დეპუტატთა დეპუტატთა საკრებულოს მდივნისა და სათავად-აზნაურო კრებათა მიერ სამის წლის ვადით არჩეულ 12 კაცისაგან.

ბ-ნ ფინანსთა მინისტრის ნება-დართვით, სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების გამგებელი უეჭველი წევრია საბჭოსი.

31. საბჭო ირჩევს თვის მორის სამის წლით ერთს წევრს—გამგეს, რომელიც უნდა განაგებდეს პირდაპირ და დაახლოვებით საბჭოს საქმეებს. წევრს-გამგეს განსაზღვრული ჯამაგირი ენიშნება.

32. საბჭოს საქმეა:

ა) შედგენა სამოქმედო გეგმისა, დაარსება სამაზრო კომიტეტებისა და თვალ-ყურის გდება, რომ წესიერად სწარმოებდეს საქმე ამ კომიტეტებში.

ბ) შედგენა ინსტრუქციისა, რომელიც მოხსენებულია ამა დებულების მე-19 §-ში, აგრეთვე შედგენა საზოგადოდ ყველა ინსტრუქციისა;

გ) გადაწყვეტა ყველა საქმისა, რომელიც აღემატება სამაზრო კომიტეტების უფლებას სესხთა გაცემაში;

დ) წარმოება ანგარიშისა სათავად-აზნაურო სასოფლო-სამეურნეო თანხის ყველა ოპერაციების შესახებ;

ე) შედგენა საბჭოს ანგარიშთ-წარმოებისა, ანგარიშის შედგენისა და საქმეთა წარმოების წესთა და დამტკიცება სამაზრო კომიტეტების ამგვარსავე წესთა;

ვ) დაწესება იმ რიგისა, რა რიგითაც უნდა ინახებოდეს და იხარჯებოდეს ფული;

ზ) განხილვა საჩივართა სამაზრო კომიტეტებზედ;

ც) არჩევა სამაზრო კომიტეტისა და წევრის-გამგესი;

*) იხ. „ივერია" № 96.

თ) განწესება და დათხოვნა საბჭოს მოხელეთა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. საქმეთ-წარმოება საბჭოში შესაძლოა დაევალოს დეპუტატთა საკრებულოს ერთ-ერთს მოხელეს.

33. საბჭოს ნება აქვს დაითხოვოს წევრნი სამაზრო კომიტეტებისა საარჩევნო ვადის გასვლამდეც.

34. საბჭოს კრება კანონიერად ჩაითვლება, როცა კრებას დაესწრება არა ნაკლებ 7 წევრისა; ხოლო როცა ასარჩევია წევრი-გამგე და წევრნი სამაზრო კომიტეტებისა, აგრეთვე როცა დასათხოვნი არიან ეს წევრნი საარჩევნო ვადის გასვლამდე, საბჭოს კრებას უნდა დაესწროს არა ნაკლებ 16 წევრისა, თან არჩევანიცა და დათხოვნაც აღნიშნულთა კაცთა უნდა მოხდეს დაფარულის კენჭის ყრით; წესი კენჭის ყრისა სხვა საგნებისათვის განისაზღვრება საბჭოს თავმჯდომარის მიერ. საქმენი საბჭოში გადასწყდება მარტივის ხმის უმეტესობით, გარდა კომიტეტის წევრთა დათხოვნის საქმისა, რომელიც უნდა გადაწყდეს დამსწრე წევრთა ⅔ უმეტესობით; თუ ხმათა რიცხვი თანაბარია, ის მხარე სძლევს, საითაც თავმჯდომარის ხმა გადიხრება.

35. გამგე-წევრის საქმეა:

ა) აღსრულება საბჭოს ყოველის დადგენილებისა;

ბ) მოხსენება ყოვლის ქაღალდისა, რომელიც საბჭოს მოუვა და მიმდინარე საქმეებისა:

გ) რევიზია, საბჭოს დადგენილებით, სამაზრო კომიტეტების მოქმედებისა, კასისა, საქმეთ-წარმოებისა და ანგარიშისა.

36. თავად-აზნაურობის სამაზრო წინამძღოლთა ვალია თვალ-ყური ადევნოს, რომ მისის მაზრის კომიტეტი წესიერად აწარმოებდეს საქმეებს და წელიწადში საჭჯერ, და არა ნაკლებ, უნდა რევიზია გაუწიოს დაწვრილებით კომიტეტის საქმეებს.

37. გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს ყოველს დროს შეუძლიან რევიზია ყველა სამაზრო კომიტეტის საქმეებისა.

38. როგორც გუბერნიის, ისე მაზრის წინამძღოლთ ნება აქვთ შეაყენონ აღსრულება კომიტეტის ყოველის უკანონო მოქმედებისა და განკარგულებისა იმ დრომდე, ვიდრე საბჭო განიხილავდეს წინამძღოლთა მოხსენებას ამა თუ იმ უწესო მოქმედება-განკარგულების შესახებ. ის წესი, რა წესითაც უნდა მიმართონ წინამძღოლთ საბჭოს ამისთანა შემთხვევაში, ინსტრუქციით უნდა იყოს განსაზღვრული.

39. საბჭოს წევრთ შეუძლიანთ რევიზია სასოფლო-სამეურნეო თანხის საქმეთა და მისის კომიტეტებისა საბჭოს დავალებით.

### საგუბერნიო სათავად-აზნაურო კრება.

40. ყოველ წლივ საბჭო აუწყებს საგუბერნიო საგანგებო კრებას წლიურ ანგარიშს სასოფლო-სამეურნეო თანხის ოპერაციებისას. მორიგ სათავად-აზნაურო კრებას-კი მოხსენდება ანგარიშები სამის წლისა დასამტკიცებლად.

სათავად-აზნაურო კრება იხილავს და ამტკიცებს სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვას; ავსებს და სცვლის ამ დებულებას და ირჩევს საბჭოს წევრთ.

## ჩვენებური ამბები

გორი. 4 მაისს გორის სამოქალაქო სასწავლებელში გამართული იქმნა წლიური აქტი. მოწვეულნი იყვნენ გორის ყველა სასწავლებლებიდგან მასწავლებლები, გორის წარმომადგენლები და ზოგი-ერთა მეგობრების მშობლები. ხალხი იმდენად შეგროვდა ისე რომ, საკმაოდ მოზრდილი დარბაზი ამავე სასწავლებლისა სავსე იყო მსმენელით.

პირველად წაიკითხა სკოლის ინსპექტორმა ს. ს. მთვარელიშვილმა სასწავლებლის წლიური ანგარიში. შემდეგ მეგობრებისაგან იყო წაკითხული ქართულად და ცოცხლად რამდენიმე ლექსი რუსულად. იგალობეს მოწაფეებმა, მასწავლებლის გ. დ. გოგუაძის დირიჟორობით რუსული სიმღერები და განსაკუთრებით მშვენივრად სთქვეს მალოროსიული სიმღერა „Гей підъ горой" ყველაზედ საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზედ მოწაფეების მუსიკის ხორომ, რომელიც მშვენივრად და ხელოვნურად უკრავდა.

დასასრულ, დაურიგეს საუკეთესო მოწაფეებს საჩუქრები, შემდეგ მუსიკამ დაუკრა: „ღმერთო ფარვიდე მეფესა" და ხმაურდების სამ საათზედ მოწვეული სტუმრები დიდად ხასიათგახსნილები დაიშალნენ და დიდ მადლობას უძღვნიდნენ ამ სასწავლებლის მასწავლებლებს. მხოლოდ გულ ნაღვლიანად დაბრუნდნენ ზოგი ერთი ბავშვების მშობლები, რადგანაც ყველაფერი სრულდებოდა მათთვის გაუგებარ ენაზედ; დიდად სასიამოვნო იქნებოდა მათთვისაც, რომ ერთი სიმღერა და ორიოდე ლექსი ბავშვებისთვის ქართულადაც ეთქმევინებინათ, ამისთვის, მგონი, არც არავინ შერისხამდა და არც მომავალს ცოდოს ჩაიდენდნენ, პირიქით, ასიამოვნებდნენ ყველას იქ მყოფს.

ქემერტელი.

## რუსეთი

ფინლიანდიის გაზეთში დაბეჭდილია: „24 აპრილს საყურადღებოდ განიმარტა 1 აგვისტოს 1902 წლის უმაღლესი დადგენილება ადმინისტრატიულ უწყებაში მოხელეთა სამსახურიდან გადაყენების წესრიგის შესახებ. უმაღლესი განმარტებით, დადგენილება შეეხება ყველა პირთ, რომელნიც სამოსწავლო უწყებაში მსახურებენ, ქ. ჰელსინგფორსის უნივერსიტეტის თანაქდებობის პირთა გარდა. ეს განმარტვა გამოიწვია მაუნუ როზენდალის საქმემ. მაუნუ როზენდალი სამოსწავლო უწყებაში მსახურებდა და ულეამბორგის ფინთა ლიცეიში მასწავლებლად რომ იყო, იმავე დროს წარმომადგენელი და ხელმძღვანელი იყო ფინლიანდიაში მთავრობის მოწინააღმდეგე პარტიისა. წარსული წლის ნოემბერში ქ. ჰელსინგფორში საიდუმლო კრება მოხდა. შეკრებილნი მსჯელობდნენ იმის შესახებ, თუ რა საშუალებით უნდა წინააღუდგნენ მთავრობის განზრახვათა განხორციელებასა და ადგენდნენ პროგრამას შემდეგისათვის ძალ-დაუტანებელ წინააღმდეგობისას. როზენდალმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ კრებაში და თავმჯდომარედ იყო არჩეული. ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის წინადადებით, როზენდალი სამსახურიდან უნდა გამოსულიყო, რადგან გენერალ-გუბერნატორის აზრით, ნება არ ჰქონდა ამ კრებაში მონაწილეობა მიეღო სახელმწიფო სამსახურში მყოფ მოხელეს და პედაგოგს და როზენდალს უნდა წარმოედგინა არზა, სამსახურიდან გამოსვლის შესახებ. როზენდალმა არ აასრულა გენერალ-გუბერნატორის მოთხოვნილება და ეს საქმე გადაეცა ფინლიანდიის სენატს განსახილველად. ფინლიანდიის სენატი არ დაეთანხმა გენერალ-გუბერნატორს იმ აზრით ხელმძღვანელობდა, რომ 1 აგვისტოს გამოცხადებული კანონი მხოლოდ სასამართლოსა და ადმინისტრატიულ უწყების მოხელეთა შეეხებოდა, როზენდალი-კი სამოსწავლო უწყების მოხელედ იყოო. გენერალ-გუბერნატორმა როზენდალის საქმე ხელმწიფე იმპერატორს წარუდგინა მსჯავრის დასადებად და შუამდგომლობდა როზენდალი სამსახურიდან უნდა იქნას დათხოვნილიო, რადგან მოზარდ თაობაზე მავნე გავლენა აქვსო; აგრეთვე შუამდგომლობდა 1 აგვისტოს გამოცხადებული კანონი იმ სახით იქნას განმარტებული, რომ სამოსწავლო უწყების მოხელეთაც შეეხებოდეს ჰელსინგფორსის უნივერსიტეტში მოხელეთა გარდაო. 24 აპრილს როზენდალი უმაღლეს განკარგულებით დათხოვნილ იქნა სამსახურიდან და 1 აგვისტოს კანონი გენერალ-გუბერნატორის თხოვნისამებრ იქმნა განმარტებული.

— შიდა რუსეთში ზოგიერთმა საგუბერნიო კრებამ აღძრა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სრულიად რუსეთის ერობათა წარმომადგენლების კრება იქნას მოწვეულიო. კრებამ უნდა განიხილოს ყველა ერობათათვის საერთო საქმეები. შინაგან საქმეთა მინისტრი თანახმაა, მოწვეულ იქნას ამგვარი კრება, მხოლოდ იმ პირობით, რომ კრებამ საგზაო საქმეები უნდა განიხილოს.

— მიმდინარე წლის აგვისტოში ქ. რიგაში უნდა მოხდეს სრულიად რუსეთის ტყის მესაკუთრეთა და მრეწველთა კრება.

— კანონთა კრებულში გამოცხადებულია, რომ დასავლეთ რუსეთის ვილნოს, ვიტებსკის, გროდნოს, კიევის, კოვნოს, მინსკის, მოგილევის და პოდოლის გუბერნიებში შეცვლილი არიან დაწესებულებანი, რომელნიც ამ გუბერნიებში საერობო საქმეებს განაგებენ.

## უცხოეთი

ოსმალეთი. „Вечерн. Почт."-ის უკანასკნელ ნომერში შემდეგი წერილია დაბეჭდილი 16—17 აპრილს მომხდარ უბედურების შესახებ სოლუნში:

„ჯერ კიდევ თვალ-წინ მიდგას საშინელი აღუშფოთებელი სურათი 16—17 აპრილის ამბებისა,—სწერს კორესპოდენტი.—კალამს არ ძალ-უძს აღწეროს ყველაფერი, რაც ჩვენ ამ დღეებში გამოვსცადეთ. ქალაქი ახლაც დაცარიელებულია. თუ სადმე დაინახეთ ადამიანი,ამჩნევთ, რომ ის მოწადინებულია და სცდილობს ჩქარა დაიმალოს. ყოველ ქუჩაზე ჯარის კაცთა რაზმი სდგას, მათ სახეზე გულის შეძხარავი სიმხეცე ჰკითხულობთ ხოლმე. გამოვედით ქუჩაზე. შეიქმნა ერთი ჩოჩქოლი და ვაი-უშველებელი. მოცვივდა ჩვენთან ათამდე სალდათი და დაგვიწყეს ჩხრეკა. ბოლოს, როგორც იქმნა, გაგვანთავისუფლეს. დავიარეთ რამდენიმე ქუჩა; ყოველგან სიცარიელე, ყველგან ჯოჯოხეთური სიჩუმე. ქვაფენილები სისხლის მორევით იყო აღვსილი. ყველა დუქნები და მაღაზიები დაკეტილია. ღიაა მხოლოდ ებრაელთა პატარა დუქნები და ოსმალების სადალაქოები. დუქნებში ეწყო ნოხები, ტანისამოსები და სხვა ოჯახის მორთულობა, რომლებიც ბულგარელთა ოჯახებიდან დაეტაცნათ. ის ადგილი, სადაც გუშინ ოსმალეთის ბანკი იყო, დღეს ბართლომეს ღამის სურათს მოგაგონებთ. ზოგიერთს თავ-დადებულს ბულგარიის ყმაწვილებს შეუმტვრევიათ ბანკის შენობა და აუფეთქებიათ. ერთი ყმაწვილი შევარდნილა ბანკის დირექტორის ოთახში და სიკვდილისაგან დაუხსნია დირექტორის ორი ბავშვი. მანვე გადარჩინა აგრეთვე დირექტორის მეუღლე (თითონ დირექტორი-კი ამ დროს სახლში არ ყოფილიყო). ბოლოს ბანკის შენობა სრულიად დაინგრა. შენობის ქვეშ ნახეს მკვდარი ყმაწვილი, რომელსაც დირექტორის ცოლ-შვილი ეხსნა საშინელი სიკვდილისაგან.

გერმანელთა კლუბი, რომელიც ბანკის ახლო იდგა, სრულებით დანგრეულია. სასტუმრო „Colombo" ჩაიმტვრა. შიგ მოჰყვა იტალიელი ფანიანე, რომელსაც შეკერილი ტანისამოსის საწყობი ჰქონდა სასტუმროს ქვეშ. სხვა სახლები და შენობები გამხეცებულ ოსმალეთის ჯარმა აოხრა და მიანგრ-მოანგრია და ქონება დაიტაცა. პოლიცია და ჯარი ხოცდა და ქლეტდა ბულგარიის სასტუმროებში მყოფ მდგმურებს

„მირჩევ-ხანის" სასტუმროს სურათი: კედლები ჩამონგრეულია, ალაყაფის კარები დამსხვრეული, ეზოში სისხლის ტბა სდგას. საშინელი სუნია.

ბულგარიის წმ. დიმიტრის ეკკლესიას უარესი დღე დაადგა. ეზოში მცხოვრების მღვდელის ოჯახში ოსმალები შეცვივდნენ, ყველი გამოსჭრეს მღ. სტამატიას, მის სამ ბავშვს, ეკკლესიის ბიჭსა და სკოლის მოსამსახურეს. ეკკლესიის გარ შემო ოჯახები ყველა ამოჟლიტეს. აქ გამოჩნდა ქალი, რომელსაც ჭრილობისაგან თავი ჰქონდა შეხვეული. „ჩვენს უბანში ყველა ამოხოცეს, მოჰკლეს მამაჩემი და ღვიძლი ძმა, ცოცხალი არავინ გადარჩენილაო",—გვიპასუხა ქალმა მისუსტებულის, ძლიერ ნელის ხმით. საწყალს ღონე მიხდილს ტირილიც ვერ მოეხერხებინა... ბულგარიის გიმნაზიის დირექტორი ტნევო და რაევი და ლეკანოზი მანჯარეფო დაეპატიმრებინათ და აუტანელი ტანჯვა-წვალება მიეყენებინათ მათთვის ციხეში. ხუთასამდე ბულგარელია დაჭერილი. რამდენი მკვდარია ჯერჯერობით არავინ იცის. მარტო ერთ ვარდარის სასაფლაოზე 180 გვამია დამარხული. ორასამდე გვამი ზღვაში ნახეს გადაგდებული. სამხედრო სამართველო, რომელსაც თავმჯდომარეობს ქრისტიანების მოძულე ედიფ-ფაშა, უკვე შეუდგა დაჭერილებთა დასჯას. ამბობენ რომ 28 გიმნაზიის მასწავლებელს და დირექტორებს სიკვდილით დასჯა მიუსაჯესო".

როგორც სოლუნიდგან იტყობინებიან, დაჭერილებთა რიცხვში 22 პროფესორია და 468 მასწავლებელი. 82 მათგანი სერბია, დანარჩენი ბულგარიელები. პორტა ირწმუნება, რომ ყველა დაჭერილები დაქირავებული აგიტატორებია. მათი განთავისუფლება მანამდე არ მოხდება, სანამ ბულგარიასა და მაკედონიაში ყოველგვარ ამბოხებასა და აგიტაციას ბოლო არ მოეღებაო.

იტალია. ვილჰელმ II-მ დიდის ამბით და დიდის ცერემონიით მოაწყო პაპისთან დარბაზობა. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ლიბერალურს საზოგადოებაში.

იტალიაში,—სწერს „Secolo" გერმანიის ოფიციოზურ გაზეთების წინააღმდეგ—იმ აზრის არიან, რომ გერმანიის იმპერატორის მოსვლას იტალიაში სარჩულად პირადი ინტერესები უდევსო. იმპერატორი სცდილობს კათოლიკეთა ცენტრმა დახმარება გაუწიოს სოციალისტების წინააღმდეგ მომავალ დეპუტატთა არჩევნების დროს რეიხსტაგში. მეორე მისი აზრია აღმოსავლეთში გერმანიამ კონკორდატი მოიპოვოსო, თუ საფრანგეთი დაარღვევს კონკორდატს. მიაღწია თუ არა ვილჰელმა თავის აზრის განხორციელებას—არ ვიცი,—განაგრძობს გაზეთი,—მხოლოდ ის-კი ვიცით, რომ პაპსა და მას ამ საგნებზე ჰქონდათ მოლაპარაკებაო. იმპერატორია დარბაზობა კვირინალთან ეტიკეტის შედეგია. ნამდვილი საქმე ვილჰელმ მეორეს პაპისთან ჰქონდაო. „ასეა, ჩვენი მოკავშირენი ყოველთვის პრაქტიკულად იქცევიანო",—ამბობს დასასრულ „Secolo".

საფრანგეთი. „Montreuil sur Mer"-ის ოლქში ამას წინედ დეპუტატად არჩეულ იქმნა ნაციონალისტი ტრიჟი. მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ არჩევნები უკანონოდ ყოფილიყო, რის გამოც დაინიშნა ხელ-მეორედ არჩევნებიო. ტრიჟიმ ახლაც წამოაყენა თავისი კანდიდატურა, მაგრამ გააშავეს. მის მაგივრად აირჩიეს რესპუბლიკელი მორილი.

— ანატოლ ფრანსს საყურადღებო აზრი წარმოუთქვამს კლერიკალებსა და რესპუბლიკელთა შორის ატეხილ ბრძოლის შესახებ: „ეს ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლოა. დღევანდელი მთავრობის გამარჯვება — გამარჯვებაა სოციალურ რეფორმების განხორციელებისა, ეპისკოპოსების გამარჯვება-კი დიდი ზნეობრივი უბედურებაა ქვეყნისა.

## ნარკვევი

მეორმოცე წლებში საზღვარ-გარედ ცხოვრობდა გამოჩენილი რუსეთის მწერალი ალექსანდრე გერცენი, სამშობლოდან დევნილი ემიგრანტი. გაზ. „Русск. Вѣдомость“-ში საინტერესო წერილია დასტამბული, რომელშიაც მოყვანილია ბ-ნ რაშის მოგონებანი გერცენის შესახებ.

ბ-ნი რაში გაეცნო გერცენს პარიჟში; „ახალგაზრდა გერმანიის“ წარმომადგენლის, პოეტი ჰერვეგის სახლში. საუცხოვო შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ გერცენმა, ამბობს ბ-ნი რაში,—იგი იყო ნამდვილი ვაჟკაცი, დემოკრატის იდეალი.

გერცენმა მიმიზიდა მე და ჩვენ ერთად ვატარებდით დროს, ხან ჰერვეგის და ხან მის საკუთარ სახლში. გერცენმა სამშობლოში დაბრუნებაზედ უარი სთქვა და ამიტომ დაკარგა თავის ქონების ერთი ნაწილი, მაგრამ მაინც მდიდარი კაცი იყო და ამ სიმდიდრეს კეთილი მიზანი აუჩინა. მისი სახლი პარიჟში 1848 წელს ყველა ქვეყნებიდგან დევნილთათვის თავშესაფარს წარმოადგენდა.

აქ თქვენ შეხვდებოდით გერმანელებს, იტალიელებს, პოლონელებს, სერბიელებს, უნგრელებს და სხვებს. გერცენის სახლში ყოველ დღე ოცი კაცისათვის მზადდებოდა სადილი. ღარიბი ემიგრანტები გერცენთან სადილობდნენ. გერცენის გასაცნობად არაფერი რეკომენდაცია არ იყო საჭირო. ყველას გულ-დიად დაუხვდებოდა ხოლმე სტუმართ-მოყვარე მასპინძელი.

გერცენი ბევრ ემიგრანტებს ეწეოდა ფულით. გაიგებდა თუ არა, რომელიმე ემიგრანტი გაჭირვებულ მდგომარეობაშიაო, სიამოვნებით გამოიღებდა ხოლმე ფულს და ფარულად უგზავნიდა, რომ მისი სახელი არავის გაეგო.

გერცენი თავის ხარჯით ბევრს ემიგრანტებს ინახავდა. ორი მშობიარე ქალი, ემიგრანტების ცოლები, გერცენის სახლში მორჩნენ, რადგან საკუთარი ბინა არ ჰქონდათ. ისე გულწრფელად ექცეოდა გერცენი ემიგრანტებს, ისე ზრდილობიანად მოაწყობდა ხოლმე მათ დახმარებას, რომ არავისთვის არ იყო სათაკილო მისგან შემწეობის მიღება.

ერთხელ პარიჟში ჩამოვიდა სამშობლოდგან დევნილი, ცნობილი მწერალი ემიგრანტი ფრიდრიხ რაპპი. რაპპი ღარიბი კაცი იყო და არსაიდგან არაფერი არ მისდიოდა. გაიგო თუ არა გერცენმა ყველა ეს, შეუთვალა რაპპის, სურვილი მაქვს, ჩემი შვილების მასწავლებლად დაგაყენოთ ჩემს სახლშიო. რაპპი დასთანხმდა და მალე აღმოჩნდა, რომ გერცენის შვილებს უკვე ჰყავდათ მასწავლებელი. გერცენს ეშინოდა, არ ითაკილოს რაპპიმ ჩემგან პირდაპირი დახმარებაო და ამიტომ იხმარა ეს ხერხი.

შემიძლიან კიდევ ბევრი მაგალითი მოვიყვანო გერცენის გულუხვობისა, შემიძლიან სავსებით აგიწეროთ, რა კეთილი, მგრძნობიერი გულის პატრონი იყო ეს სახელგანთქმული რუსეთის მწერალი—ემიგრანტიო,—ამბობს ბ-ნი რაში.

## წერილი
### რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგ წერილს.

კნ—ჟნა მარიამ პეტრე წულუკიძის ასულმა გადმომცა ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ შეკრებილი ორმოცდა ოთხი მან. და გთხოვთ დასტამბოთ სია შემომწირველთა:

ბ. პანასიემ—6 მ. 50 კ., პ. გუნცაძემ, თ-მა ამირედონ წერეთელმა და თ-მა მელიქოვმა სამ-სამი მან, მ. ქორქაშვილმა, პ. აბაშიძემ, გრ. ოგანეზოვმა, ფ. მ. კიკნაძემ, კ. წ., ბ. თურქიამ და თ. ბონდომ ორ-ორი მან., კ. ბაქრაძემ —1 მ. 50 კ., ს. აბაშიძემ, თ. სერ. წერეთელმა, ვლად. წერეთელმა, მიხ. საყვარელიძემ, №№, ილ. გამყრელიძემ, №№, სოლომონ მოდებაძემ, ი. მხეიძემ, №№, გ. კ. აბაშიძემ, მ. ანჯაფარიძისამ და ან. პეტრიაშვილისამ თითო მან.

გარდა ამისა, იოსებ ალმასხანის ძის მესხისაგან მივიღე ტყიბულში შეკრებილი 5 მან. 60 კაპ.

ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონდობილობით უღრმეს მადლობას ვსწირავ კნიაჟნა მარიამ წულუკიძისას და იმ პირთ, ვინც კეთილ ინება და დახმარება აღმოუჩინა მას.

ივ. ის. პურადოვ

## დეპეშა
(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

5 მაისი.

**სტამბოლი.** სულთანმა აცნობა ელჩებს, რომ ალბანიიდან საკეთილო ცნობები მოდისო. ალბანელნი, ორიოდე კაცის გარდა, რომელთაც მნიშვნელობა არა აქვთ, თანხმანი არიან დაემორჩილონ შემოსაღებად განზრახულ ზომებსაო.

**გიბრალტარი.** რადგან მაროკკო უიმედო მდგომარეობაშია, ესპანიის მთავრობამ ზომები მიიღო ცეუტის დასაცველად. სულთანის ჯარმა ტაზუ იერიშით აიღო.

**მარსელი.** 4 მაისს პრეფექტურის წინ გაიარა 5000 კაცმა, რომელთაც ადრესი გადასცეს. თხოულობენ ეკლესიის განცალკევებას სახელმწიფოსაგან.

**ტოკიო.** მთავრობამ შეიტანა პარლამენტში კანონ-პროექტი ფლოტის გადიდების შესახებ. 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი უნდა მოხმარდეს ახალ გემების აგებას. ეს ფული 12 წლის განმავლობაში უნდა გადაიდოს.

6 მაისი.

**პეტერბურგი.** გამოქვეყნდა უმაღლესი რესკრიპტი ტომის ეპისკოპოსის მაკარის სახელზე, რომელსაც ამასთანავე ებოძა ბრილიანტის ჯვარი. ებოძა უმაღლესი გრამოტა ნიკოლოოზს, თავრიდის ეპისკოპოზს, რომელსაც ალექსანდრე ნეველის ორდენი ებოძა.—ირკუტსკის სამხედრო გენერალ გუბერნატორს, გენერალ-ლეიტენანტ პანტელეევს, პეტერბურგის გუბერნატორს გრაფ ტოლს და სენატორს ტაინი სოვეტნიკ შევიჩს ნაბძანები აქვთ სახელმწიფო საბჭოს წევრებათ ყოფნა. — ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი ფონ რააბეკი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან და შინაგან საქმეთ სამინისტროში ჩაირიცხა.—სახელმწიფო მდივნის ამხანაგს ბარონ ისკულს ფონ-ჰილდენბრანდს ნაბრძანები აქვს უმართებულეს სენატში ყოფნა— პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელს ლოპუხინს ებრძანა დეპარტამენტის დირექტორად ყოფნა და ებოძა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობა.—ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და არქეოგრაფიულ კომისიას მისცა სახელი „საიმპერატორო“. ნება-დართულია ცალკე ნომრობით გაყიდვა გაზ. „კიევ. სლოვო“-სი და გაზ. „სამარსკ. გაზ.“-სა.—აკრძალულია გაზ. „ნოვოსტ“-ის ცალკე ნომრებათ გაყიდვა.—შეჩერებულია გაზ. „ვოლინ“-ის გამოცემა.—სერგეი ბოტკინი ლეიბ მედიკად დაინიშნა.—დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე და პეტერბურგის ქალაქის უფროსი გენ. ლეიტ. კლეიგელსი დანიშნულ იქნენ მისის უდიდებულესობის გენერალ-ადიუტანტებად.—დიდ მთავართ პეტრე ნიკოლოოზის ძემ და გიორგი მიხეილის ძემ გენერალ-მაიორობა მიიღეს და დაინიშნენ მისის უდიდებულესობის ამალაში.

ჩინეთის სამხედრო აგენტი გენერალ-მაიორი ვოგაკი დაინიშნა მისის უდიდებულესობის ამალაში.

**სტამბოლი.** ოსმალები 30 აპრილის დებაბატთან ბრძოლის შესახებ იუწყებიან, რომ ომერ რუშდი-ფაშას ბანაკს დიდ მანძილიდან ესროდნენ თოფს. ამიტომ ჯარმა წინ წაიწია და ალბანელებს 120 კაცი დააკარგვინეს. ჯარმა სოფელში დააქცია მოწინააღმდეგე ალბანელების სახლები; ქრისტიანების სახლებს ხელი არ ახლეს. ცნობები იპეკში შესვლის შესახებ ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. როგორც პორტა აცხადებს, ჯარი ისე შევიდა, რომ წინააღმდეგობა არ უნახავს, წინამძღოლნი-კი სულთანს აუწყებენ ტელეგრაფით, რომ ისინი ემორჩილებიან მას და იღებენ რეფორმებს. მეორე მხრივ ამბობენ, რომ ნასირფაშის დივიზიას წინააღმდეგობა გაუწიეს და იპეკისა და პრიზრენის ოლქებში ხალხი აღელვებულია და ემზადება წინააღმდეგობის გაწევას.

**ვიბორგი.** საგანგებო მატარებლით მოვიდა ოლქის ჯარების უფროსი დროშათა კურთხევის ცერემონიაზე დასასწრებლად. ეს დროშები უმაღლესად ებოძათ მე-7-ე და მე 8 ახალ ფინლიანდიის მსროლელ პოლკებს.

**სოფია.** კოალიციურ კაბინეთის შედგენა ვერ მოხერხდა. ალბად, ხელ-ახლად დანევის კაბინეთი შესდგება.

**ხარბინი.** სამხედრო მინისტრმა ხარბინში სამი დღე დაჰყო და დაესწრო აღლუმს ხარბინის ჯარისას, რომლის უფროსადაც გენერალი ჩიჩაგოვი დაჰნიშნა და დაათვალიერა ყველა კაზარმები. საზღვრის მცველთა რაზმის ნახვის დროს მინისტრმა მათ ხელმწიფე-იმპერატორის სალამი და მადლობა გადასცა, რასაც მოჰყვა ზარბაზნების გრიალი და „ურა“-ს ძახილი ჯარისაგან და გარეშე ხალხისაგან. გაიმართა სადილი, როგორც ჯარის კაცებისათვის, ისე ოფიცრებისათვის, რომელსაც მინისტრი დაესწრო. სადილს მოჰყვა ჯირითი, სიმღერები და ცეკვა.

მოგებათა ტირაჟი

1-ლ მაისს პეტერბურგში მოხდა მე-7 ტირაჟი სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მომგებიან გირავნობის ფურცლებისა. მოგება ხვდა შემდეგ ბილეთებს:

| №№ სერიებისა. | №№ ბილეთებ. | მოგების ჯამი. მანეთი. | №№ სერიებისა. | №№ ბილეთებ. | მოგების ჯამი. მანეთი. |
|---|---|---|---|---|---|
| 3260 | 47 | 200000 | 1751 | 22 | 1000 |
| 12341 | 36 | 75000 | 15089 | 41 | 1000 |
| 12172 | 15 | 40000 | 8584 | 18 | 1000 |
| 3934 | 23 | 25000 | 6606 | 10 | 1000 |
| 13624 | 41 | 10000 | 8597 | 35 | 1000 |
| 9386 | 42 | 10000 | 7001 | 40 | 1000 |
| 10209 | 19 | 10000 | 1189 | 33 | 1000 |
| 7434 | 34 | 8000 | 4848 | 22 | 1000 |
| 5596 | 3 | 8000 | 11390 | 8 | 1000 |
| 11005 | 40 | 8000 | 10086 | 7 | 1000 |
| 8104 | 31 | 8000 | 12975 | 48 | 1000 |
| 11558 | 11 | 8000 | 11620 | 30 | 1000 |
| 10150 | 28 | 5000 | 12020 | 2 | 1000 |
| 11129 | 26 | 5000 | 3058 | 20 | 1000 |
| 2363 | 36 | 5000 | 7335 | 2 | 1000 |
| 10784 | 33 | 5000 | 3094 | 32 | 1000 |
| 6856 | 45 | 5000 | 14576 | 29 | 1000 |
| 3008 | 11 | 5000 | 10429 | 14 | 1000 |
| 3580 | 16 | 5000 | 15455 | 48 | 1000 |
| 13052 | 20 | 5000 | 8961 | 13 | 1000 |

გაბათილებულ იქმნა.

938, 13526, 11297, 14211, 15750, 1679, 11382, 14905, 7610, 15172, 14932, 7537, 4748, 3433, 553, 9822, 15707, 12697, 15032, 14035, 7925, 8343, 11296, 2752, 8783, 2924, 7413, 11407, 6176, 8268, 6838, 854, 5626, 14153, 7918, 3242, 12738, 8957, 10196, 2318, 10555, 12349, 13285, 13638, 9581, 9233, 11380, 1796, 1346, 1910, 2285, 2840, 14717, 10858, 15108, 10806, 14075, 2153, 12601, 9155, 11158, 3765. 8916, 4757, 13917, 2701, 14096, 457, 3477, 10885, 8782, 4905, 12416, 9970, 14184, 8028, 14649, 2049, 7923, 322, 4147, 11920, 14967, 730, 4912, 13855, 1000, 9303, 4755, 2567, 1938, 10751, 5799, 73, 14285, 4894, 2143, 6665, 15693, 6749, 7425, 5060, 3023, 9175, 8939, 125, 8778, 3780, 1438, 6039, 1408, 3311, 10933, 13260, 5947, 14680, 15433, 1222, 14013, 6519, 6083. 4359, 12678, 9102, 14546, 11655, 14501, 1406, 4795. 8143, 4592. 11563, 9393, 3941, 11130, 5430, 10129, 8217, 183, 3728, 6073, 4580, 7477, 7665, 10182, 238, 14988, 7969, 10836, 14148, 11641, 9599.

**პეტერბურგის ბირჟა,** 2 მაისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,25 |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,85 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,75 |
| ბირჟის დისკონტი | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 98½ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 100⅞ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 95⅜ წვ. მყიდ. |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 37 გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 335½ წვ. გაყ. |
| გირ %ფავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 287½ გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 9800 წვ. გაყ. |
| აქციები ,, ,, ,, ,, | 485 წვ. გაყ. |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | 3725 წვ. გაყ. |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 401 გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 196 წვ. გაყ. |

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) **ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

**ბაქოს;** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

**ყარსსა** და **ერევანს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 12 ს. 38 წ.

**ბორჯომს:** 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/10 დილის 6 ს. 21 წ.

ბ) **ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) **ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

დ) **ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ:** ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

**შორაპნისაკენ:** დღის 3 ს. 8 წ.


## განცხადება

**ნავთის მწარმოებელთა ამხანაგობა**

**„შეჩან“**

გამგეობა ამით აცხადებს ბ-ნთ პაის პატრონთა საყურადღებოდ, რომ უკანასკნელი ვადა მე-7-დე 5% შეტანისა თავდება **ამა მაისის** 10, რის შემდეგაც ის პაი, რომლის სარგებელიც შეტანილი არ იქმნება, ხელ-შეკრულობის მე 7 § ძალით გაუქმებულად ჩაითვლება. (1—118—1)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ საჭიროა სადგურ·ი ქალაქის ორი სკოლისა და საქალებო პროფესიანალურ სკოლისათვის 1, 2, 3, 4 და 5 პოლიციის უბნებში.

პირობათა შესატყობათ მიჰმართონ მმართველობის კანცელარიის პირველ განყოფილებას. (3—6—3)

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

„GRAND PRIX“ PARIS 1900

Т-во Высшей парфюмеріи

**А. Ралле и К°**

„Бутонъ д'Оръ“

**ლაბარატორია**

**რის გუტმანისა**

მისის იმპერატორებითის. უდიდებულესობის კარის ვაჭარი.




**ინდოური მიშუნაი**

(ქიმიკოსის რის გუტმანისა)

ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათ მათ გვართა. ეს საშუალება განდევნის სახლებიდგან და სადგურებიდგან, განსაკუთრებით ზემოხსენეულ პირუტყვებს იმრიგად, რომ იატაკის ქვეშ არა რჩებიან და ცუდს სუნს არ ავრცელებენ იქიდგან. ფასი 60 კ.—1 მ. 50 კ.

**ინდოური ფხვნილი მწერთა მოსაგერებლად** ყველაზედ ნამდვილი საშუალება საბოლოვო გასაწყვეტად ყოველგვარ მწერთა და მათის თესლისა. ეს ფხვნილი შეუდარებელია რწყილის და ბაღლინჯოს გასაწყვეტად კრაოტებში, ლეიბებში, გალესილ კედლებში და აგრეთვე ფიცრის კედლებში. რომელსაც გაკრული აქვს ნაბდები და ნაძენძი. ჩრჩილსა სწყვეტავს ნავთალინისავით და ამასთან მასავით მძიმე სუნი არა აქვს. ამიტომ საჭირო არ არის ქურქისა და სხვა ტყავიან საცმელების შესანახავად მიცემა ზაფხულში. ეს ფხვნილი თავის მოქმედებას ყოველ გვარს ქია-ღუის წინააღმდეგ თითქმის წუთის განმავლობაში იჩენს. ფასი 35 კ., 65 კ. და 1 მ. 20 კ.

**სითხე ბაღლინჯოს წინააღმდეგ** (ქიმიკოსის რის გუტმანისა). სამუდამოთა სწყვეტავს. სასიამოვნო სუნისა არის და ამასთან არ ალაქავებს საცვლებს, შპალერს და მებელს. შეფრქვეული ოთახის ჰაერს სასიამოვნოდ აგრილებს და ამასთან ერთად განდევნის ჩრჩილს, ბუზებს და კოღოს. ფ. 60 კ.—1 მ.

**ტოკაის ბალზამი** (ქიმიკოსის გუტმანისა) გან. კურნავს ბებერას, მეჭეჭს და სხვა ამ გვარს, მოკლე დროს განმავლობაში. ძირიან-ფესვიანად სპობს და ამასთან არავითარ ტკივილს არ აგრძნობინებს ადამიანს. ფასი თითო ფლაკონისა 60 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისში, სააფთიაქ. საქონვაჭრ. ამხ.-ში და ყოველს სააფთიაქო მაღაზიაში. (40—6.—18)

## მოწოდება

მეექვსე საუკუნეში ქრისტეს დაბადების შემდეგ ღვთის მშობლის წილხდომილს, ჩვენს სამშობლოში მოევლინნენ, ღვთის ბრძანებით და განგებით, ათორმეტნი ღირსნი მამანი სირიიდგან; ამ წმიდა მამებმა დიდი ღვაწლი დასდეს ჩვენს სამშობლოს,—განავრცეს და განამტკიცეს მასში ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოება თავიანთი ქადაგებით, მოღვაწეობით, წმიდა ცხოვრებით და სასწაულებით.

ერთი ამ წმიდა მამათაგანი,—ყვავილი სიმშვიდისა და მოთმინებისა,—ღირსი **პიროსი** მოღვაწეობდა ქართლში, სოფელ ბრეთში; ბევრი იშრომა და იღვაწა ღირსმა და ღმერთშემოსილმა მამა—პიროსმა, ბევრნი გამოიხსნა საუკუნო ბნელისაგან და მოაქცია სინათლისკენ. სასწაულთ-მომქმედი ნაწილები ამ წმიდა მამისა დაკრძალულია ს. ბრეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, რომელიც აღშენებულია მეშვიდე საუკუნეში. ჰყვაოდა და ჰბრწყინავდა ოდესმე ეს წმიდა საყოფელი ღირს მამის სასწაულთ-მომქმედ ნაწილთა სიმშვენიერით და მორთულობით, გარნა ეხლა ეს ეკკლესია დაძველებულია და საჭიროა მისი საფუძვლიანად განახლება. სოფელ ბრეთის მრევლი დიდი ხანია მოწადინებულია განაახლოს წმ. გიორგის ეკკლესია, მაგრამ ხელმოკლეობის გამო ვერ შესძლებია ამ დიდს და ღვთის სათნო საქმეს.

ამისათვის მრევლთაგან შემდგარი და უმაღლესი სასულიერო მთავრობისაგან დამტკიცებული კომიტეტი უმორჩილესად სთხოვს ყველა ქრისტეს მოყვარე ქველმოქმედთა და საქართველოს სიძველეთა მოყვარულთ, შეძლების დაგვარად, აღმოუჩინონ კომიტეტს შემწეობა და დახმარება ბრეთის წმ. გიორგის ეკკლესიის განახლებაში; ყოველივე შემოწირულება დიდის მადლობით იქნება მიღებული კომიტეტისაგან და ეკკლესიის კრებული ილოცავს შემომწირველთა სადღეგრძელოდ.

შემოწირულება მიიღება შემდეგის ადრესით:

Комитету по ремонтировкѣ Бретской Свято-Георгіевской церкви въ сел. Брети, Горійскаго уѣзда.

Въ г. Гори, Его Сіятельству полицейскому Приставу **Бардзиму Кайхосровичу Авалову.**

გორში, გორის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორს მღვდელ-მონაზონს **პიროსს.**

და ტფილისში „ივერიის“ რედაქციაში.

კომიტეტის წევრი—საქმის მწარმოებელი

ივანე გიორგის ძე ავალიშვილი.

(5—4)

**გამოვიდა და იყიდება ყველგან**

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნი

**ბარტეკ ძლევამოსილი**

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

**ლედი ჯენ**

ჯემსონის მოთხრობა სურათებით

სააღდგომო საჩუქრით

ვარაყიანის ყდით 1 მ.

იყიდება ჯეჯილის რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

ჯეჯილის რედაქციაშივე ისყიდება 1897, 98 და 99 წლების ჯეჯილი თითო წლისა ორ მანათად.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 мая 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе) Дворцевая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი